II სემესტრი 2018-2019

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

ექსკლუზიური თანამშრომლობის მემორანდუმი

სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ ბრიუსელში, ევროპარლამენტში მოქმედი „საქართველოს მეგობრობის ჯგუფის," „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის" „ევროპული სკოლისა" და არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვან საქართველოს" შორის გაფორმდა ექსკლუზიური თანამშრომლობის მემორანდუმი დემოკრატიული ფასეულობების გაძლიერებისთვის.
მემორანდუმის ფარგლებში „ევროპულ სკოლას" მიენიჭა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მაღალი დონის ღონისძიებებში ევროპარლამანტსა და ევროსაბჭოში. დაიგეგმა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტები მოსწავლეებისთვის. ექსკლუზიურად „ევროპულ სკოლას" შესაძლებლობა ექნება ევროკავშირის ინსტიტუტებში მოკლევადიან ტრენინგებში მონაწილეობის მიღებისა. დაიგეგმება და განხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობა ბელგიისა და ევროპის სხვა ქვეყნების წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
მომავალში„ევროპული სკოლა" უზრუნველყოფს სტრატეგიული და საგანმანათლებლო პროექტების განხორცილებას.

TEDxIBEuropeanSchool

ყოველ წელს TEDxIBEuropeanSchool ღონისძიებაზე „ევროპული სკოლის" სამივე პროგრამიდან განსხვავებული, შთამბეჭდავი გამომსვლელები გვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, რომელმაც შეიძლება დამსწრეთა აზრი შეცვალოს მრავალ საკითხზე. წელსაც რეალურ ისტორიებზე დაფუძნებულ მოხსენებებში ისეთი იდეები გაჟღერდა, რომელთა უმრავლესობამ შეძლო ზეგავლენის მოხდენა საზოგადოებაზე და ნაწილმა კი ამის პოტენციალი შექმნა.
ღონისძიების თემა იყო „ ჯაჭვური რეაქცია." ვიმედოვნებთ, მოხსენებები ბავშვთა უფლებებზე, გარემოს დაცვაზე, ცხოველთა უფლებებზე, პიროვნების განვითარებასა და გასართობი აქტივობების დადებით ზეგავლენაზე გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას და გადაიზრდება ინიციატივების კასკადში.
„ევროპული სკოლის" TEDx ღონისძიება პოპულარულია სკოლის საზოგადოებაში და დადებით შეფასებას იღებს დამსწრეთაგან. წელსაც კონკრეტული გამოსვლები და იდეები თუ ღონისძიებიდან მიღებული ენერგია შთამბეჭდავი და შთამაგონებელი აღმოჩნდა მსმენელთათვის.

CIS MEMBER
ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

„არავინ დატოვო განათლების მიღმა“- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა „დაუნის სინდრომის ასოციაციის“ მხარდაჭერით განსაკუთრებულად უმასპინძლეს ,,მზის შვილების“ ბენეფიციარებს. წლევანდელი სლოგანი - „არავინ დატოვო განათლების მიღმა“ - მთავარი გზავნილია მათ მხარდასაჭერად.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის სასიცოცხლოდ მნიშველოვანია მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, ამიტომაც აქტიურად ჩავრთეთ საგანმანათლებლო აქტივობებში. ერთად ავაწყვეთ რობოტები, ჩავატარეთ ქიმიის სახალისო ცდები, ცნობადობის ამაღლების მიზნით ერთად ვხატეთ ფერადი წინდები, მოვაწყვეთ ფლეშმობი 46+1, ჩავრთეთ ბავშვები სპორტულ თამაშებში და გავყიდეთ ფერადი წინდები მათ მხარდასაჭერად. დიდი შთაბეჭდილებებითა და ემოციებით გავაცილეთ სტუმრები. ასევე ჩვენი სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ დღის ცენტრს „მზის შვილებს.“ მათ დაუმეგობრდნენ და საჩუქრები გადასცეს. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს და გავამართლოთ სლოგანი „არავინ დატოვო განათლების მიღმა.“

ძალიან ძვირფასი და თანაც ძალიან იაფი ტრადიცია - წიგნის ჩუქების დღე

1995 წელს, იუნესკოს გადაწყვეტილებით, 23 აპრილი წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ გამოცხადდა. მსოფლიოს 195 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, აღნიშნავენ ამ დღეს და წიგნის გამოფენა-გაყიდვებს აწყობენ. წელს „ეროვნული ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ გამოაცხადა, შეხვდა „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს და ესაუბრა, რატომ უნდა უყვარდეთ წიგნის კითხვა. ინიციატივას #აჩუქეწიგნი ,,ევროპული სკოლა" დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა.

სულ პატარა მკითხველს კი სკოლის პიარმენეჯერმა ნინო კუსრაშვილმა საბავშვო წიგნი ,,აბა, გამოიცანი როგორ მიყვარხარ" წაუკითხა და საავტორო უფლებების შესახებ ესაუბრა. მოსწავლეებმა ერთმანეთს წიგნები უსახსოვრეს. სასაჩუქრე გამოცემებზე კეთილი სურვილები წაუწერეს და სასიამოვნო კითხვა უსურვეს.

„მსოფლიოს არაერთ ქვეყნაში არსებობს ერთი ძალიან ძვირფასი და თანაც ძალიან იაფი ტრადიცია – წიგნის ჩუქების დღე. სხვა ქვეყნებში რომც არ არსებობდეს, რატომაც არა – ჩვენ დავამკვიდროთ. თუ დააკვირდებით, წიგნის ჩუქება ყველა საჩუქარს ერთად მოიცავს: ცოდნასაც და განცდასაც, სიხარულსაც და ტკივილის გაძლების სწავლასაც, ნივთს, ჩაფიქრებას, დაკვირვებას, ამ დაკვირვებით გაკვირვებას. წიგნი კაცობრიობის მეხსიერების ჯამია. ისეთივე გამოცდილება, როგორიც მე და შენ გვაქვს, ამიტომაც ვიფიქრე, რომ ეს დღე 23 აპრილს დაგვეწესებინა, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს“, – განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო

6 ივნისს „ევროპულ სკოლაში“ ქართული პროგრამის, IB საერთაშორისო ბაკალავრიატისა და ამერიკული უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.
ამ ამაღელვებელ და ემოციებით სავსე დღეს კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და სიტყვით მიმართეს „ევროპული სკოლის“ აკადემიურმა დირექტორმა სოფიო ბაზაძემ, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ გელა ბეჟუაშვილმა, საერთაშორისო ბაკალავრიატის ხელმძღვანელმა რამაზ სართანიამ და ამერიკის უმაღლესი სკოლის დირექტორმა ირმა ბარბაქაძემ.
საქართველოს განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ: ხატია კილაძე, ნინო კინტრაია, ლუკა ლელუაშვილი და ელისაბედ საკაძე. სკოლის დირექციამ მედლებით დააჯილდოვა AHS და IB(DP) პროგრამის კურსდამთავრებულებიც.
საზეიმო ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული სტუმრები: ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი გიგი წერეთელი, ამერიკის საელჩოს კულტურული ურთიერთობების ოფიცერი იულიუს ცაი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ეკატერინე ბაღიშვილი და სან-დიეგოს უნივერსიტეტის ვიცე-დეკანი ნუგზარ დავითაშვილი სიტყვით გამოვიდნენ და კურსდამთავრებულებს დიპლომები გადასცეს.

ღია კარის დღე

29 მარტს „ევროპულ სკოლაში“ ღია კარის დღე გაიმართა. შეხვედრა მშობლებთან სკოლის მთავარ დარბაზში ჩატარდა, რომელსაც სკოლის აკადემიური დირექტორი სოფიო ბაზაძე უძღვებოდა. სიტყვით გამოვიდნენ ბრიტანეთის საბჭოს სასწავლო ცენტრის მენეჯერი სტივენ შელი და კომპანია „Future Laboratory“-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ქაშიბაძე. დაინტერესებული მშობლებისთვის სკოლის ტური მოეწყო მოსწავლეების თანხლებით, შეხვდნენ პროგრამის კოორდინატორებს და ვიზიტი დასრულდა მიღებისა და ჩარიცხვის სამსახურის ოფისში.

მადლობას ვუხდით ყველა მშობელს, რომელმაც არჩევანი „ევროპულ სკოლაზე“ გააკეთა და გვანდო საკუთარი შვილის მომავალი.

სააღდგომო ქველმოქმედება

სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით ,,ევროპულ სკოლაში" ტრადიციულად რამდენიმე საქველმოქმედო აქცია დაიგეგმა.

მოსწავლეები ხელმძღვანელებთან ერთად ტკბილეულით ხელდამშვენებულები ესტუმრნენ წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან არსებულ მოხუცებულთა დღის ცენტრს და ძალიან თბილი და დაუვიწყარი ერთობლივი კონცერტი გამართეს. ერთად იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს და აგრძნობინეს მოხუცებს, რომ მარტო არ არიან და მათზე ზრუნავენ.

აღდგომამდე ერთი კვირით ადრე პროდუქტები შეაგროვეს და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დაურიგეს. ეწვივნენ ახალგაზრდულ სახლს, რომელშიც 20 მოზარდი ცხოვრობს, მოხუცთა თავშესაფარს, „კარიტასის“ ბენეფიციარებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ზრუნავენ ბავშვებსა და მოხუცებზე. ეს სიკეთით სავსე დღე დაუვიწყარი აღმოჩნდა როგორც ბავშვებისთვის, ასევე იმ ადამიანებისთვის, რომელბსაც დახმარება და გვერდით დგომა სჭირდება.

„ოქროს პეპელას“ დაჯილდოების ცერემონიალი

1 ივნისს ,,ევროპულ სკოლაში" ჩატარდა მე-9 საბავშვო საერთაშორისო ფილმების ,,ოქროს პეპელას" დაჯილდოების ცერემონიალი.

ფესტივალის პროგრამის მიხედვით, სამი დღის განმავლობაში მოეწყო ფილმების ჩვენება, ვორქშოპები და მასტერკლასები.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა რეჟისორები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და აგრეთვე სტუმრები ბაქოდან, მოსკოვიდან და ყაზახეთიდან.

გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები და დიპლომები. გრანპრი მოიპოვა კინოსტუდია ,,პიონერფილმის" მოსწავლემ ნიკა ზუბაშვილმა ფილმისთვის „ლეოს დაბადების დღე.“

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეები საოკუპაციო ხაზთან

გორის რაიონის საზღვრისპირა სოფელ კოშკში მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა გიული ჩალაურმა ომის დროს გადამწვარი ბიბლიოთეკის გამო საკუთარ სახლში გახსნა პატარა ბიბლიოთეკა და ამიტომაც იქაური ბავშვების ხშირი სტუმრობა არც უკვირს. სწორედ ამ სამკითხველოს ჩაუტანეს საჩუქრად კომპიუტერი და წიგნები „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა და „ეროვნული ბიბლიოთეკის“ დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

მოსწავლეებმა თანხის შესაგროვებლად საკუთარი ხელით შექმნილი ნივთებისა და ტკბილეულის გამოფენა-გაყიდვა მოაწყეს და საზღვრისპირა მცხოვრები თანატოლები გაახარეს.

„გავიგეთ, რომ რუსეთის საზღვართან მდებარე ერთ-ერთ სოფელში არ აქვთ კომპიუტერი და გადავწყვიტეთ მათი დახმარება, რადგან XXI საუკუნეში კომპიუტერის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია“, - განაცხადა „ევროპული სკოლის“ მოსწავლემ ლიზი ახალკაცმა.

ბავშვები ეწვივნენ მერეთის სკოლასაც, შეხვდნენ თანატოლებს და კომპიუტერი და წიგნები მათაც გადასცეს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

„წიგნები, განათლება არის ყველაზე კარგი გასაღები ამ საზღვრის და საოკუპაციო ხაზის გადალახვისა“, - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

კლასიკური მუსიკის ფესტივალი

14 მაისს „ევროპული სკოლის“ მთავარ დარბაზში კლასიკური მუსიკის ფესტივალი ჩატარდა. დასკვნით კონცერტზე მათ წარმოადგინეს საფორტეპიანო, ვოკალური ნომრები და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვეს. საუკეთესო შემსრულებლები შეარჩიეს ჟიურის წევრებმა: კომპოზიტორმა რუსუდან სებისკვერაძემ, „ევროპული სკოლის“ მუსიკის პედაგოგებმა გულიკო ჯომარდიძემ, ნინო ჭალისურმა და კოორდინატორმა კატო ბაქრაძემ. კონცერტმა სრული აწშლაგით ჩაიარა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ყვავილების ფესტივალი“

3 ივნისს ტრადიციულად „ევროპულ სკოლაში“ „ყვავილების ფესტივალი“ გაიმართა, რომელსაც, საზეიმო იერსახის გარდა, საქველმოქმედო შინაარსი ჰქონდა. სკოლის ეზოში ქოთნის მცენარეების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო და შემოსული თანხა „ახალგაზრდული სახლის“ ბენეფიციერებს გადაეცათ.
სკოლის ეზოში პარალელერად მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიება: მესამე კლასის მოსწავლეებმა მოამზადეს საინფორმაციო პოსტერები ყვავილის აგებულების, ათი ყველაზე ლამაზი ყვავილისა და ყველაზე გავრცელებული ოთახის მცენარის შესახებ.
მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებმა უმცროსკლასელები ფერად-ფერადი ყვავილებით მოხატეს, „პატარა მხატვრებმა“ მოლბერტებზე შესრულებული ნახატებით გაზაფხულისა და ზაფხულის პეიზაჟები გააცოცხლეს, დიდ ქსოვილზე საერთო ნახატი განათავსეს, საგანგებოდ მომზადებულ „ყვავილების ჩარჩოში“ სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.
მცენარეების გამოფენა-გაყიდვისთვის მომზადებულ ადგილზე ბავშვების ხელით მოხატული ქოთნები გამოიფინა.
„ყვავილების ფესტივალის“ სამშვენისი ამ დღისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნომრები იყო. წამყვანები და შემსრულებლები, რასაკვირველია, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები იყვნენ. სასიამოვნო მელოდიები და მხიარული საცეკვაო ნომრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ერთიანობაში ისედაც ლამაზი გარემო თითქოს „ჯადოსნურ სამყაროდ“ იქცა.
„ყვავილების ფესტივალი“ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებისა და სტუმრების მეხსიერებაში კიდევ ერთ ლამაზ და შთამბეჭდავ დღედ დარჩება.

სააღდგომო გამოფენა

სააღდგომო ნამუშევრები „ფაბლაბში“
„ფაბლაბი“ საყვარელი ადგილია ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის, მათ შესაძლებლობა აქვთ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სივრცეში შექმნან სასურველი ნივთრბი, ამიტომაც მოსწავლეებმა დეკორატიული სააღდგომო კვერცხები თანამედროვე მეთოდებით „ფაბლაბში“ მოამზადეს.
ქართული პროგრამის მესამე კლასელებს „ფაბლაბში“ ინტეგრირებული

გაკვეთილი ჩაუტარდათ და ხელოვნების გაკვეთილზე შესრულებული ნამუშვრები ჯერ ციფრულ ფაილებად გარდაქმნეს, შემდეგ კი ლაზერული მჭრელის საშუალებით ხეზე გადაიტანეს. ბავშვებისთვის სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა საკუთარი ხელით სააღდგომო კვერცხების დამზადება.

PYP-ის წლის შემაჯამებელი გამოფენა

17 მაისს „ევროპული სკოლის“ მთავარ დარბაზში PYP პროგრამის მეხუთეკლასელებმა წლის შემაჯამებელი გამოფენა მოაწყვეს. მოსწავლეები და პედაგოგები მოუთმენლად ელოდნენ აკადემიური წლის ყველაზე საინტერესო გამოფენის ნაწილს და განსაკუთრებულად მოემზადნენ. ტრანსდისციპლინური სწავლების საუკეთესო მაგალითი იყო მათი პრეზენტაციები, რომლებიც ძალიან საინტერესოდ წარმოაჩინეს. 8 კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მენტორებმა იმუშავეს სხვადასხვა თემაზე: გადამუშავება, დაბინძურების სახეები, უსახლკარობა, ცხოველთა უფლებები, ვიდეოთამაშები, ეკოლოგია და ტექნოლოგია. მოსწავლეებმა ითანამშრომლეს ხელოვნებისა და რობოტიკის პედაგოგებთან და მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალები შექმნეს. დადგეს სპექტაკლი დედამიწის დღესთან დაკავსირებით; მოამზადეს ჩრდილების თეატრი, სადაც აჩვენეს გლობალური პრობლემები, გაამწვანეს სკოლის ეზო ნარგავებით; დაბეჭდეს საინფორმაციო ბუკლეტები; ჩაწერეს ვიდეოები; ჩაატარეს კვლევები. მუსიკის პედაგოგთან ერთად მოამზადეს მუსიკალური ნომრები და შეასრულეს სიმღერა, რომელიც კონცეპტუალურად მათ არჩეულ თემებს ეძღვნებოდა. PYP მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა პროექტებმა ნათლად აჩენა მათი დიდი ინტერესი ბუნების დაცვის მიმართ. დამთვალიერებლები დარწმუნდნენ, რომ ისინი მართლაც გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეები არიან.

მოსწავლეთა საბჭო სტუმრად „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელში“

PYP ამაყობს სტუდენტური საბჭოთი, რომელიც წელს დაარსდა. 16 მაისს სტუდენტური საბჭოს წევრები ესტუმრნენ „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელს,“ რომელიც ემსახურება რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების გაძლიერებას. მოსწავლეებმა თავიანთი ინიციატივით დაგეგმეს სხვადასხვა აქტივობა, როგორებიცაა: საგანმანათლებლო თამაშები, მეცნიერული ცდები, ხელსაქმე, მცენარეების დათესვა და სხვა. ბავშვებმა ბევრი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს ერთად, ბევრი იხალისეს და დამეგობრდნენ. ჩვენმა მოსწავლეებმა ასევე დაასაჩუქრეს „საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის“ ბავშვები სხვადასხვა საჩუქრით. მოსწავლეთა საბჭო მომავალშიც გეგმავს მსგავსი აქტივობების განხორციელებას.

წიგნის კვირეული

1-5 აპრილს წიგნის კვირეული PYP პროგრამის მოსწავლეებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს. კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს, როგორ გამოიმუშავონ კითხვის უნარ-ჩვევები, რომელიც ტრანსდისციპლინური სწავლების მეთოდებს ეყრდნობოდა. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია წიგნების, ავტორებისა და საყვარელი პერსონაჟების შესახებ. მათემატიკის გაკვეთლზე შექმნეს გრაფიკული ნამუშევრები კითხვის სტატისტიკის გამოსავლენად. ბიბლიოთეკაში გამართულ პოეზიის გაკვეთილზე ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე წაიკითხეს ლექსები, მოეწყო ლიტერატურული ვიქტორინაც. მოხატეს კედლის პლაკატები, გაზეთები და ჟურნალები. ლიტერატურული კვირეულის დასასრულს მოეწყო კოსტიუმირებული აღლუმი, რომლის დროსაც ცნობილი პერსონაჟების კოსტუმებში გამოწყობილმა მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს საყვარელი წიგნის გმირები.

PYP პროგრამის ყველა ღონისძიება მომავალ თაობაში წიგნიერების დონის ამაღლებასა და წიგნის სიყვარულს ეძღვნებოდა.

ნორვეგიელი მუსიკოსების გაკვეთილები

„ევროპული სკოლა“ განსაკუთრებულ სტუმრებს, ნორვეგიელ მუსიკოსებს, მასპინძლობდა. მათ განსაკუთრებული სწავლების მეთოდით მუსიკის გაკვეთილები PYP პროგრამის მე-3-მე-5 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარეს. ნორვეგიული მუსიკის აკადემია ლიდერია მუსიკის პედაგოგიკის სფეროში. მუსიკოსები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტის ფარგლებში ეწვივნენ საქართველოს და „ევროპული სკოლის“ მუსიკის პედაგოგ ნინო ჭალისურის ინიციატივით, ახალი სწავლების მეთოდებით ჩაატარეს გაკვეთილები, რომლებიც ძალიან საინტერესო და დაუვიწყარი აღმოჩნდა მოსწავლეებისთის. ქალბატონი ნინო თავად იმყოფებოდა ოსლოში. მან შეისწავლა მუსიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები და ახლა უკვე „ევროპულ სკოლაში“ ნერგავს სიახლეებს. მუსიკოსების ჯგუფმა გაკვეთილების შემდეგ სოლო კონცერტი გამართეს, რომელიც სრული ანშლაგით ჩატარდა. ოსლოს მუსიკის აკადემია და „ევროპული სკოლა“
მომავალშიც გააგრძელებენ შემოქმედებით ურთიერთობას.

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეები ევროპული საბჭოს რიგით 36-ე სესიაზე

1 აპრილს „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო სექტორის საბაზო საფეხურის (IB MYP) მოსწავლეები გაემგზავრენ ევროპული საბჭოს რიგით 36-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგში, როგორც საქართველოს წარმომადგენლები. მათი მიზანი იყო წარედგინათ საქართველოში არსებული ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ევროსაბჭოში გაწევრიანებას და განეხილათ ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

ვიზიტის ფარგლებში შედგა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა. აღსანიშნავია ვიზიტი ბელგიის სამეფოს ელჩსა და ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელსთან ნატალია საბანაძე სთან. მოსწავლეები შეხვდნენ ევროკავშირის აღმოსავლეთის ქვეყნების სამეზობლო ურთიერთ ობების დირექტორს ბ-ნ ლოურენს მერიდიტს.

შეხვედრა გაიმართა აგრეთვე ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებთა ნ: მარია დელ კარმენთან, და მარკუს რუიზთან. მოსწავლეებმა მოინახულეს ევროსაბჭოს სხვადასხვა განყოფილება ევროპული პოლიტიკის უკეთესად გასაგებად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო პოლიტიკის შესამეცნებლად.

ნათქვამია, რომ „ბავშვები მსოფლიოს მომავალია.“ იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ჩვენ მათ უნდა მივცეთ გამოცდილების საშუალება, როგორიცაა ევრო საბჭოს სესიებზე დასწრება, პარლამენტარებთან შეხვედრები, რეზოლუციების და პროექტების მომზადება და ა.შ. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მიშიკო გაბაიძე, რომელიც იყო ამ ოცი მოსწავლიდან ერთ-ერთი იხსენებს: „ამ ვიზიტმა და ჩემი ქვეყნის წარდგენამ მაგრძნობინა თავი ძალიან დამოუკიდებლად. მე გამოვავლინე ისეთი უნარები, რაზეც აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა.“

ბაქოს ექსკურსია: დრამის კლასი აზერბაიჯანში

IB MYP მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებმა დრამის პროგრამის ფარგლებში განახორციელეს წარმატებული პროექტი და გააცოცხლეს ამერიკული პიესა ,,ვესტსაიდური ისტორია“ (West side story).
„ევროპული სკოლის“ ადმინისტრაციის, მშობლებისა და მასწავლებლების დახმარებით მოსწავლეებმა შეძლეს, განეხორციელებინათ გაცვლითი პროგრამა მეზობელი ქვეყნის - აზერბაიჯანის - ორ სკოლასთან.
20 მაისს „ბრიტანულმა სკოლამ“ ბაქოში და „დუნიას საერთაშორისო სკოლამ“ „ევროპულ სკოლას“ უმასპინძლა, სადაც მოსწავლეებმა წარმატებით წარადგინეს სპექტაკლი.
მოსწავლეები საქართველოში 22 მაისს დაბრუნდნენ და სკოლაში საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარეს. გაყიდული ბილეთებით შემოსული თანხა კი „ახალგაზრდულ სახლს“ გადასცეს.
ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის, იაკობ ედუარდ თეოდორის აზრით, ეს გამოცდილება, რომელიც მოიცავდა საათობით რეპეტიციებს და გაკვეთილების გვიანობამდე სწავლას, იყო საკმაოდ რთული და ემოციური. თუმცა საბოლოო შედეგმა გადააჭარბა მოლოდინს.

გლობალური დათბობის პრობლემისადმი მიძღვნილი მარში

მეათე კლასის მოსწავლის, ანასტასია მორელის, თქმით, მას არ სურს ცხოვრება დამთავრდეს 30 წლის ასაკში, რადგან ადამიანებს ავიწყდებათ შუქის ჩაქრობა სახლებში. ანასტასიას აზრით, სკოლაში მოსვლას აზრი არ აქვს, თუ ჩვენ არ გვექნება ხვალინდელი დღის იმედი და რწმენა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა.
საერთაშორისო პროგრამის (IB) საბაზო საფეხურის (MYP) მეათე კლასის მოსწავლეებმა 15 მაისს გამართეს აქცია და შეუერთდნენ გლობალური დათბობის საყოველთაო მოძრაობას. მოსწავლეები მსოფლიოს მასშტაბით ამ დღეს აწყობენ მსვლელობას, რათა აჩვენონ მსოფლიოს, რომ გლობალურ დათბობას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება ჩვენი მომავლის გადასარჩენად.
„ევროპული სკოლის“ მოსწავლეები შეიკრიბნენ რუსთაველის ქუჩაზე და მოაწყვეს მარში გარემოს დაცვის სამინისტროსთან თავიანთი ხელით გაკეთებული პოსტერებით და ფლაერებით, იმ იმედით, რომ მსოფლიო გაიგებს მათ ხმას.

Startup Camp Youth Tbilisi 2019

„ევროპულ სკოლის“ IB (DP) პროგრამის და „Georgia's Youth Entrepreneurs“-ის ორგანიზებით 7, 8, 9 ივნისს startup camp youth Tbilisi 2019 ჩატარდა, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა სტარტაპიდეები წარმოადგინეს. იმუშავეს ჯგუფის წევრებთან ერთად, მიიღეს გამოცდილება და ითანამშრომლეს პროფესიონალ მენტორებთან ბიზნესისა და ტექნოლოგიების განხრით. ბოლო დღეს კი საკუთარი პროექტები წარუდგინეს ჟიურის წევრებს.

ლუკა თოდუამ, „სკოლა XXI საუკუნის“ მე-10 კლასის მოსწავლემ და პროექტის მონაწილემ განაცხადა: „ორი სიტყვა მინდა ვთქვა Startup camp youth 2019-ზე, რომელიც „ევროპულ სკოლაში“ ჩატარდა. ქარიზმატული და პროფესიონალი ორგანიზატორების და კვალიფიციური კადრების ფონზე პროექტი წარმატებით დასრულდა და ეს 3 დღე სკოლის მოსწავლეებისთვის უზომოდ პროდუქტიული გამოდგა, როგორც სამეწარმეო და ინოვაციური კუთხით, ასევე მათ დიდი გამოცდილება მიიღეს Leadership-ობის და რაღა თქმა უნდა, ისწავლეს, თუ როგორ აქციონ იდეა რეალობად."

9 ივნისს, დაჯილდოების ცერემონიალზე ,პირველი ადგილი (1000ლ.)„RoboKit“- მა, ინოვაციურმა სტარტაპიდეამ მოიპოვა, რომელზეც მუშაობდნენ ამერიკული აკადემიის მოსწავლეები: შალვა ბეგიაშვილი, სოფიო ჩიხლაძე და თეკლე ხმიდიაშვილი. მეორე ადგილი (500ლ.) გადაეცა „AutoTech“ ამერიკული საერთაშორისო სკოლის პროგრესის მოსწავლეებს: აფაქ მირვაკილს, ასმა კაფაშიანს, ალი პაზირეის, არიან ზუგჰის და ზეინეფ გურფინარის.

მესამე ადგილის მფლობელი კი გახდა „HTS:Help To See,“ რომელზეც მუშაობდნენ სკოლა XXI საუკუნის მოსწავლეები: ლევან ღვინერია, ლუკა თოდუა, ნიკა ტუსკია, ალექსანდრა ლომინაძე, ლიზა ჩანტლაძე, ქეთევან ჯანიაშვილი და კესო ციცქიშვილი. ხოლო leadership award-ი გადაეცა სამი ჯგუფის ლიდერს, ესენი არიან: ნიუშა ბიგლარი, ლევან გოგრიჭიანი და ელვინა მამედოვა.

პროექტში ჩართული იყვნენ ცნობილი კომპანიები: „ვოლტი“,„იბერია ბიზნეს ჯგუფი“, „ეკობინა“, „მომავლის ლაბორატორია“, „ფაბ-ლაბი“,„ევროპული სკოლა,“ „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში“ და „ინგლისური წიგნები საქართველო.“

CAS ვორკშოპი ბაკურიანში

7-დან 10 მარტის ჩათვლით, IB DP პროგრამის ფარგლებში, პირველად მოეწყო გასვლითი, სამდღიანი CAS სემინარი ბაკურიანში. CAS (Creativity, Activity, Service) IB DP პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიც მოსწავლეებში პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან ერთად, სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაა და ეგრეთწოდებულ მომსახურებაზე დაფუძნებულ სწავლებას (Service-based learning) წარმოადგენს. სემინარის ფარგლებში, პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით, მოსწავლეებმა შეისწავლეს სოციალური პროექტების მენეჯმენტი და განივითარეს საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობის უნარ-ჩვევები. მოსწავლეებმა სემინარის ფარგლებში მიღებული ცოდნა ასახეს პრაქტიკაში და დასკვნით დღეს შეიმუშავეს და წარმოადგინეს პროექტების სამოქმედო გეგმები, გაუკეთეს ორგანიზება პირველადი დახმარების ტრენინგს (First Aid Training), ჩაერთნენ გარემოს დასუფთავების ღონისძიებაში და სხვა. ვორკშოპის ეფექტურობის და სტუდენტების კმაყოფილების გათვალისწინებით გადაწყდა, რომ მსგავსი გასვლითი სემინარები გაიმართება რეგულარულად DP პროგრამის განმავლობაში.

ასტრობანაკი ამერიკის შეერთებულ შტატებში

3 -10 მარტს „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ ინიციატივით „ევროპული სკოლის“ 19-კაციანი მოსწავლეთა ჯგუფი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტი) პედაგოგ დავით ნოზაძესთან და FabLab-ის მასწავლებელ გურანდა გოგალაძესთან ერთად გაემგზავრა ასტრონომიულ ბანაკში, ვირჯინიის შტატში.

ბანაკში მოსწავლეებმა გაატარეს ნაყოფიერი და საინტერესო ათი დღე. ისინი ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში. მოსწავლეებმა შეიძინეს ახალი უნარ-ჩვევები, გამოცდილება, ახალი მეგობრები და ახლებურად დაინახეს მეცნიერება.

ბანაკში მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების -STEAM-ის ფარგლებში დაფუძნებული სხვადასხვა და მრავალფეროვანი აქტივობის საშუალებით გაეფართოვებინათ ცოდნა ისეთ მეცნიერულ სფეროებში, როგორებიცაა: ფიზიკა, ქიმია, რობოტიქსი, ასტრონომია. მოსწავლეებმა შეიძინეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სამომავლო განათლებისა და სამუშაო გარემოსთვის.

ბანაკი მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო პრაქტიკულ აქტივობებს, თანამედროვე და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რაკეტის მშენებლობა-გაშვების სიმულაციებს, ღია ცის ქვეშ ვარსკვლავებისა და პლანეტებზე დაკვირვებას და სხვა.

პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეღრმავებინათ თავიანთი ცოდნა და უნარები. მოსწავლეებისთვის მეცნიერება გახდა „პრაქტიკული“ და ხელშესახები, თითოეული მონაწილის ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნების საფუძველზე.

ასტრონომიული ბანაკის თანამშრომლებმა და „ევროპული სკოლის“ მასწავლებლებმა შეიმუშავეს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სამომავლო განვითარების სტრატეგიებსა და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

ამერიკული უმაღლესი სკოლის დიპლომი

17 აპრილს საქართველოში ჩამოვიდნენ AdvancED ამერიკული საakრედიტაციო ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი-Dr Kem Hussain და Dr. Ludwig van Broekhuizen ორგანიზაციის კვლევის და განვითარების საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელი, განათლების სამინისტროში ამერიკული სკოლის დიპლომის აღიარების საკითხთან დაკავშირებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით. საქართველოს მხრიდან შეხვედრას დაესწრნენ: კახაბერ ხანდოლიშვილი -განათლების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეკა ბაღიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე და ლალი შაიმელაშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. სკოლიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ამერიკული სკოლის დირექტორი - დოქ. ირმა ბარბაქაძე და ამერიკული სკოლის აკადემიური დირექტორი - ნათია თევზაძე.

სამინისტროში შეხვედრა დასრულდა ორმხრივი შეთანხმებით, დაიწყოს ამერიკული სკოლის დიპლომის აღიარების პროცესზე მუშაობა. ვიზიტისას განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა FabLab-მა და რეკომენდაცია მოგვცეს სკოლის STEAM სერთიფიცირების საკითხზე.

სპორტული ღონისძიებები ამერიკულ სკოლაში

სკოლის მოსწავლეთა სპორტულმა კომიტეტმა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამერიკული სკოლის მოსწავლეები, ორგანიზება გაუწია ტურნირებს კალათბურთში, ფეხბურთსა და რაგბიში, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ. მათ ასევე მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა ჩემპიონატში.

14-16 თებერვალს „QSI-ის საერთაშორისო სკოლის“ ორგანიზებით გაიმართა შეჯიბრება საქართველოს, აზერბაჯანისა და სომხეთის საერთაშორისო სკოლებს შორის. „ევროპულმა სკოლამ“ მოიპოვა მეორე ადგილი. 22 მარტს ევროპული სკოლის საკალათბურთო გუნდმა გამართა მეგობრული თამაში „IGS - საერთაშორისო ქართულ სკოლასთან“. საკმაოდ დაძაბული თამაშის შედეგად „ევროპულმა სკოლამ“ მოიგო შემდეგი ანგარიშით: 87-55 და დიდი მღელვარება გამოიწვია გულშემატკივართა შორის. 6 ივნისს, განმეორებით მატჩში, ჩვენმა გუნდმა კვლავ დაამარცხა მეტოქე ანგარიშით: 84-56. მსგავსი შეხვედრები ყოველთვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად.

მოგზაურობა საფრანგეთში

17-22 მაისს „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ მეათეკლასელები საგანმანათლებლო ექსკურსიით გაემგზავრნენ საფრანგეთში. მათ მოინახულეს სანაპირო ქალაქი კანი და საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი. ექსკურსიის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მათი დამრიგებელი, ნუცა აბაშიძე, გახლდათ.

კანში ვიზიტისას მოსწავლეები ეწვივნენ კანის კინოფესტივალს და დაესწრნენ გერმანელი რეჟისორების მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენებას. ერთ-ერთი ფილმი მიძღვნილი იყო აფხაზეთის კონფლიქტისადმი და აჩვენებდა რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის გავლენას საქართველოზე და ქვეყნის მიერ მიღებულ ზარალზე.

სამდღიანი ვიზიტი პარიზში დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. ისინი ესტუმრნენ მრავალ მუზეუმსა და საინტერესო ადგილს. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ლუვრის და დორსეის მუზეუმები, ასევე თანამედროვე ხელოვნების ცენტრი პომპიდუ და ბაზილიკა საკრე-კიორი. მნიშვნელოვანი იყო მონმარტრის მონახულებაც, რაც ქალაქის ხელოვნების ცენტრს წარმოადგენს. საერთო ჯამში, ორივე ქალაქმა მოსწავლეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და როგორც საინტერესო და სახალისო, ასევე საგანმანათლებლოც აღმოჩნდა.

ტყის საერთაშორისო დღე

„ევროპულ საბავშვო ბაღში“ ხალისით აღინიშნა ტყის საერთაშორისო დღე.
აღმზრდელებთან ერთად ბავშვებმა ისაუბრეს ტყის მნიშვნელობაზე, დაამზადეს ჯგუფური ნამუშევრები. აღნიშნულ დღეს ბაღის ეზოში მოეწყო გამოფენა, ბავშვებმა გააცოცხლეს ხეები
და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.
იმისთვის, რომ პატარებს უკეთ გაეცნობიერებინათ, თუ რას ნიშნავს ტყე, მათ მოისმინეს ფრინველებისა და ცხოველების ხმა პარაბოლური მიკროფონით. უსახლკარო ჩიტებს
კი ბუდე გაუკეთეს საბავშვო ბაღის ეზოში.
-„მიყვარს ჩიტები, მათ ხშირად ვუყრი პურის ნამცეცებს. მიხარია, რომ დღეიდან ბაღშიც ექნებათ ჩიტებს სახლი და საკენკი“, - გვითხრა ერთ-ერთმა აღსაზრდელმა.

Rock Round the Clock

25 - 26 მაისს „ევროპულ საბავშვო ბაღში“ გამოსაშვები საღამო გაიმართა. ოთხმა ჯგუფმა დაასრულა საბავშო ბაღი. მოეწყო საოცარი სანახაობა სკოლის მთავარ დარბაზში, სახელწოდებით: „Rock round the clock”. ბავშვებმა როკენროლური განწყობით წარუდგინეს მშობლებს და დამსწრე საზოგადოებას მხიარული ლექსები, სიმღერები და ცეკვები.
„ჩემთვის ძალიან ემოციურია, როდესაც საკუთარ შვილს ვხედავ სცენაზე, მანტიაში გამოწყობილს, რომელსაც ხელში პირველი დიპლომი უჭირავს და გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე“, - გვითხრა ერთ-ერთმა მშობელმა. ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელებმა გზა დაულოცეს ჩვენს პატარებს, უსურვეს ნათელი და წარმატებული მომავალი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

„ევროპულ საბავშო ბაღში“ აღვნიშნეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. საქართველოსთვის ამ მნიშვნელოვანი დღის აღნიშვნაში ჩართული იყვნენ ჩვენი ბაღის ქართველი და უცხოელი აღსაზრდელები. პატარებმა სიხარულით დაამზადეს საქართველოს დროშები, ბაღის ეზო ერთად მოვრთეთ თეთრი და წითელი ფერის ბუშტებით და მოვაწყვეთ ღონისძიება, რომლის დროსაც ბაშვებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი.

დედამიწის დღე „ევროპულ საბავშვო ბაღში"

22 აპრილს „ევროპულ საბავშვო ბაღში“ აღვნიშნეთ დედამიწის საერთაშორისო დღე.
აღმზრდელებმა ბავშვებთან წინასწარ ისაუბრეს დედამიწის მოვლისა და ზრუნვის შესახებ, აჩვენეს მათ მოკლე ანიმაციები დედამიწაზე. მთელი კვირის განმავლობაში თითოეული ჯგუფი ქმნიდა მეორეული მასალისგან სხვადასხვა სახის აპლიკაციას. ნახეს მოკლე ანიმაციები დედამიწის შესახებ. შემდგომ მოეწყო ნამუშევრების გამოფენა. პატარებმა თავიანთ ნამუშევრებთან გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. ამრიგად, მათ გააცნობიერეს, რამდენად მნიშვნელოვანია მცენარეების მოვლა, ნარჩენების დახარისხება და მეორეული ნივთების გამოყენება. ჩვენი ბაღი ზრუნავს, რომ მოსწავლეებში აამაღლოს ცნობიერება საკუთარი პლანეტის მოვლის მნიშვნელობაზე.